პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ადიგენის კოლმეურნე

საქართველოს კპ ადიგენის რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

АДИГЕНИС КОЛМЕУРНЕ орган Адигенского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

№24 (1429) | კვირა, 11 მარტი, 1956 წ. | ფასი 10 კაპ.

## მტკიცედ ვიბრძოლოთ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

რამდენიმე დღის წინათ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, არამედ მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრიობისთვის. მან საბჭოთა ხალხს დასახა ახალი დიადი ამოცანები და მისცა კომუნისტური მშენებლობის საბრძოლო პროგრამა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების სახით.

ხალხი აღფრთოვანებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე შემდგომ წინსვლას, ხელს შეუწყობს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის განუხრელ ამაღლებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. ეს გადაწყვეტილებანი პარტიასა და ხალხს აძლევენ მომავლის ნათელ პერსპექტივებს და მთელი მსოფლიოს მშრომელებს უნერგავენ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების გამარჯვების ურყევ რწმენას.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი ინტერესით იხილავენ ყრილობის მასალებს ქარხნებში, შახტებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, წარმოება-დაწესებულებებში და გამოთქვამენ მზადყოფნას ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ პარტიის მიერ დასახული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ისე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, უმაგალითო პოლიტიკური აღმავლობა და შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია ადიგენის რაიონის მშრომელებში. ისინი გულდასმით იხილავენ ყრილობის მასალებს, ერთსულოვნად იწონებენ მათ და კისრულობენ ახალ ვალდებულებებს, რათა წარმატებით მოემზადონ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის, შემჭიდროებულ ვადებში და აგროტექნიკური ღონისძიებების ზუსტად დაცვით ჩაატარონ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ეს კამპანია, გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გააუმჯობესონ წარმოება-დაწესებულებათა მუშაობა და სოფლად კულტურული საქმიანობა.

ახლა, პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ამ ვითარებაში, რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს ეკისრებათ საპატიო ამოცანა—ფართოდ გაშალონ პროპაგანდა, რათა თვითეული მშრომელი კარგად გაეცნოს ყრილობის მასალების აზრის სიღრმეს, გადაწყვეტილებათა ისტორიულ მნიშვნელობასა და არსს. პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი საქმიანობა უნდა წარმართონ კონკრეტული საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომის პრინციპით, ცხოვრებასთან ახლო კავშირით, რაიონის წინაშე მდგომი სამეურნეო ამოცანების გათვალისწინებით იხელმძღვანელონ მუშაობაში და უზრუნველყონ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის მშრომელთა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვა.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ

დაწესდეს 1956 წლის 10 მარტიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებში და უქმეების წინა დღეებში ნორმალურთან შედარებით ორი საათით შემცირებული, ე. ი. ექვსი საათის ხანგრძლივობის სამუშაო დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 8 მარტი.

## საბჭოთა კავშირის მუშა ქალებს, კოლმეურნე ქალებს, მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის მოღვაწე ქალებს, ყველა ქალს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება და მხურვალედ ულოცავს საბჭოთა ქალებს ქალთა საერთაშორისო დღეს —8 მარტს.

წელს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელები ქალთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ საყოველთაო სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიადი პროგრამა. ყრილობის გადაწყვეტილებანი გამსჭვალულია დიდი ზრუნვით მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მტკიცე რწმენით ჩვენი ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალებისადმი. ხალხის დიდი შემოქმედებითი საქმიანობა, საბჭოთა წყობილების გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე იმის საწინდარია, რომ სოციალიზმი უთუოდ და სავსებით გაიმარჯვებს კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ყრილობის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ პარტიის კოლექტიური სიბრძნის გამოხატულებად, პარტიისა, რომელსაც ლენინიზმის დროშით მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ.

სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის მძლავრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც პარტიის XX ყრილობამ დასახა, ახალი დიდი ნაბიჯი იქნება წინ სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად უზრუნველყო ქალისათვის ნამდვილი თავისუფლება, მამაკაცთან თანასწორი უფლებანი და განუსაზღვრელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი საწარმოო, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა საზოგადოებაში ქალები კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილეები არიან. სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა ისეთი პირობები, რომლებშიც სრულად გამოვლინდა ჩვენი სამშობლოს სახელოვანი ქალიშვილების უშრეტი ენერგია, ინიციატივა, აურაცხელი ნიჭი და ტალანტი. მილიონობით ქალი, მუშაობს რა მთელ ხალხთან ერთად ფაბრიკებში, ქარხნებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, სკოლებსა და ინსტიტუტებში, ქმნის უდიდეს მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, დაუცხრომლად იბრძვის შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, აღწევს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის განუხრელ ზრდას, ასრულებს დედის—მოზარდი თაობის აღმზრდელის საპატიო მოვალეობას.

ჩვენს ქვეყანაში ქალთა წინაშე ფართოდ არის ღია სასწავლებლების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კარი. საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ სსრ კავშირში უმაღლესი განათლების მქონე ყველა სპეციალისტთა შორის ქალები შეადგენენ 53 პროცენტს, ექიმთა შორის—76 პროცენტს, მასწავლებელთა შორის—70 პროცენტს, იმ სამეცნიერო მუშაკთა შორის, რომლებიც სამეცნიერო-სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობენ,—67 პროცენტზე მეტს, 10 ათასამდე ქალს აქვს სამეცნიერო ხარისხი და წოდება.

ასრულებენ რა დიდი ლენინის ანდერძს, საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყველა სახელმწიფო საქმეში. ათიათასობით საბჭოთა ქალი ხელმძღვანელობს სოციალისტურ საწარმოებს, მეთაურობს დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ქალთა დამსახურება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში პოულობს ხალხის ფართო აღიარებას და მას მაღალ შეფასებას აძლევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ჩვენი ხალხი დიდ, გულითად მადლობას ეუბნება საბჭოთა ქალებს—დედებს, რომლებიც თავიანთი გულის სიყვარულსა და სითბოს ანდომებენ კომუნიზმის მშენებელთა მოზარდი თაობის აღზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის 30 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავლის 40 პროცენტით გადიდებასთან ერთად, 7 საათის სამუშაო დღის შემოღებასთან ერთად, გათვალისწინებულია ქალების—დედების შრომისა და ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების დიდი ღონისძიებანი. გაიზრდება შვებულების ხანგრძლივობა ორსულობისა და მშობიარობის გამო, მნიშვნელოვნად გაფართოვდება სამშობიარო სახლების, საბავშვო კონსულტაციების, რძის სამზარეულოების, ბაგებისა და ბაღების ქსელი, შეიქმნება სკოლა-ინტერნატები, გაფართოვდება სასადილოების ქსელი, გადიდდება კვების ნახევარფაბრიკატების და საყოფაცხოვრებო საჭიროების მომსახურების მანქანების წარმოება.

საბჭოთა კავშირში ქალთა მდგომარეობის მაგალითით მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები ხედავენ, რომ ქალთა ნამდვილი განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციის გზით, მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში. ამას მოწმობს აგრეთვე ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის გამოცდილება, სადაც ათ წელიწადში ქალთა ფაქტიური თანასწორობის უზრუნველყოფისათვის გაცილებით მეტია გაკეთებული, ვიდრე ბურჟუაზიული დემოკრატიის პირობებში გაკეთდა ას წელიწადში.

სხვა ვითარებაში ხვდებიან საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მშრომელი ქალები კაპიტალისტურ ქვეყნებში. გამალებული შეიარაღების, აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნის პოლიტიკა, რომელსაც გარკვეული იმპერიალისტური წრეები ახორციელებენ, და ამასთან დაკავშირებული გადასახადების გადიდება, სიძვირის ზრდა, შრომის ინტენსიფიკაციის გაძლიერება, ქრონიკული უმუშევრობის შენარჩუნება მძიმე გავლენას ახდენს მშრომელთა მასების და განსაკუთრებით ქალების მდგომარეობაზე.

კაპიტალისტური ქვეყნების ქალები სულ უფრო აქტიურად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, აგრესიული ძალების მიერ ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ. კაპიტალისტური ქვეყნების ქალები სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ქალებთან ერთად მოითხოვენ ატომური, თერმოატომგულისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას, მოითხოვენ ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას, ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას. ყველა ქვეყნის ქალთა დემოკრატიულ მოძრაობას მორალურად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები. საბჭოთა კავშირის, დიდი ჩინეთისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ქალები თავიანთი წარმატებებით აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს ქალებს, უნერგავენ მათ რწმენას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი 8 მარტის დღესასწაულის დღეს საბჭოთა ქალებს უსურვებს შემდგომ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, მრავალმხრივ სახელმწიფოებრივ, საწარმოო, სამეცნიერო და კულტურულ მოღვაწეობაში, ბავშვების, ჩვენი ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები მთელ ხალხთან ერთად თავიანთი თავდადებული შრომით კვლავაც განამტკიცებენ საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს ძლიერებას, გაამრავლებენ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, იქნებიან მთელი მსოფლიოს ქალთა პირველ რიგებში ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა შორის ინტერნაციონალური ურთიერთობის განმტკიცებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დიდება საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

# პარტიული ცხოვრება

## აი, რის შესახებ გვსურს მოგითხროთ

ლელოვნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი აგიტკოლექტივი 11 აგიტატორს აერთიანებს. მათთან წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე სისტემატურად ტარდება აგიტსემინარები. სემინარებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი იხილება ადგილობრივ ამოცანებთან დაკავშირებით, ხდება აგიტატორთა ინფორმაციების მოსმენა ჩატარებული მუშაობის შესახებ, გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვ. აგიტატორები ქ. მჭედლიშვილი, მ. გამეზარდაშვილი, უ. კუბლაშვილი ნაყოფიერად მუშაობენ და ყველას პატივისცემას იმსახურებენ.

მაგრამ აგიტკოლექტივის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. პასუხისმგებლობას არ გრძნობენ და მუშაობას თავს არიდებენ ა. აფხაიძე, ვ. ბოჭორიშვილი, ნ. იობიძე და რიგი სხვა აგიტატორები. აღნიშნული ამხანაგების საგიტაციო უბნებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობა მიძინებულია: საუბრები ტარდება იშვიათად და ისიც უხარისხოდ, ზერელედ, მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის ფორმალურად მოხდის მიზნით.

აგიტკოლექტივი მოკლებულია პარტიული ორგანიზაციის მხრივ ქმედით დახმარებასა და კონტროლს. დღემდე პარტიულ ორგანიზაციას კრებებზე არცერთჯერ არ განუხილავს საკითხი საგიტაციო მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

საგიტაციო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ურიგდება და ნაკლებ დაინტერესებას იჩენს მათი აღმოფხვრის საქმეში სამყურის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციაც.

კოლმეურნეობაში მომუშავე აგიტატორთა გარკვეული ნაწილი კარგი მუშაობით ხელს უწყობს მშრომელთა აქტივობის ზრდას რაიონის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში, მაგრამ ასე არ ითქმის ყველაზე, მათ შორის ა. გელაძის შესახებ. ის გასული წლის სექტემბრიდან გამოყოფილია აგიტატორად მებაღეობის ბრიგადაში, მაგრამ დღემდე 2-3 საუბრის მეტი არ ჩაუტარებია. მან არ იცის მის საგიტაციო უბანზე როგორია შრომითი წარმატებანი და ნაკლოვანებები, არ იცნობს ბრიგადის საწარმოო გეგმას და სხვ. სრულიად მიივიწყა საგიტაციო მუშაობა აგიტატორმა შ. ბოგვერაძემ. ის უკვე დიდიხანია აგიტსემინარსაც აღარ ესწრება.

მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას გაურბიან აგრეთვე ქ. ბოჭორიშვილი და მ. ვარდოსანიძე.

ამჟამად, როდესაც პარტიის XX ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის წინაშე, კიდევ უფრო ამაღლდა საგიტაციო მუშაობის როლი. აგიტატორთა ყოველდღიური მოვალეობაა ფართოდ გააცნონ მასებს ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ეს უნდა გაითვალისწინონ ლელოვნისა და სამყურის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა და შესაბამის აგიტკოლექტივებს დახმარება გაუწიონ მუშაობაში, ზემოთ მითითებული ნაკლოვანებების გამოსწორებაში,

**მ. ბუიძე,**
ლელოვნის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი,

**უ. ლაჟავა,**
სამყურის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი.

---



**პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა.** რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები მკვეთრადადიდებენ ფართო მოხმარების საგნების წარმოებას.

**სურათზე:** ქალაქ ჰელმეკის ფეხსაცმელების ფაბრიკის ერთ-ერთი საამქრო.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

---

## გავუფრთხილდეთ წიგნებს

კურორტ აბასთუმნის საქალაქო ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს ადგილობრივ მოსახლეობასა და დამსვენებლებს. მას მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოს მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან, საიდანაც ხდება წიგნების გამოწერა მკითხველთა სურვილის მიხედვით. წელს ბიბლიოთეკისათვის შეძენილი უნდა იქნას 17.000 მანეთის ლიტერატურა. ბიბლიოთეკა ამჟამად 25 სხვადასხვა სახის ჟურნალსა და 19 სახის გაზეთს ღებულობს.

დღითიდღე იზრდება მკითხველთა რაოდენობა. მარტო 1 იანვრიდან დღემდე ბიბლიოთეკის მკითხველთა რიგებს შეემატა 40-მდე ამხანაგი. ბიბლიოთეკასთან ჩამოყალიბებულია წრეები, სისტემატურად ტარდება ლექცია-მოხსენებები მკითხველთათვის, გამოდის ყოველთვიური კედლის გაზეთი და ეწყობა გამოფენები.

ბიბლიოთეკას ჰყავს აქტიურ მკითხველთა დიდი რაზმი, განსაკუთრებით კომკავშირელთა რიგებიდან. ისინი ეხმარებიან ბიბლიოთეკას დაზიანებული წიგნების შეკეთებაში, კედლის გაზეთის გამოშვებასა და პერიოდული გამოცემების აკინძვაში. ასეთები არიან მ. ბალახაშვილი, დ. ულუხანაშვილი, მ. თოქმაჯევი, ნ. ასათიანი, შ. გოგატიშვილი და სხვები.

სამწუხაროდ, ყველა მკითხველი ასეთი არ არის. ზოგიერთი, იმის ნაცვლად, რომ დაგვეხმაროს, ხელს გვიშლის მუშაობაში: წიგნებს თავის დროზე არ აბრუნებს უკან და, თუ აბრუნებს, დაზიანებულს. იშვიათი არ არის დაკარგვის შემთხვევებიც. ასეთთა რიცხვში არიან შ. ობოლაძე, მ. სვიმონიშვილი, მ. ცინცაძე, შ. ანდრიაძე და სხვები.

ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მშრომელთა კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათი იდეური დონის დონის ამაღლებას. ეს მომსახურება ყოველმა მკითხველმა წესიერად უნდა გამოიყენოს!

**ზ. ლოზუანიძე.**

---

## ჩვენ გვწერენ

## უპასუხისმგებლო მუშაკი

კარგა ხანია, რაც კავშირგაბმულობის აბასთუმნის განყოფილებაში ფოსტის დამტარებლად მუშაობს ს. ინჯიკიანი. მის ერთ-ერთ სამოქმედო უბანს შეადგენს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა სანატორიუმი, მაგრამ ამ ბოლო დროს მან შეწყვიტა სანატორიუმის მუშა-მოსამსახურეთა და დამსვენებელთა ჟურნალ-გაზეთებით მომარაგება.

ინჯიკიანის საქციელი გარკვეულმა მიზეზმა გამოიწვია. აი ეს მიზეზიც: სანატორიუმმა, რომელსაც იგი აქამდე მიმაგრებული ჰყავდა მუშა-მოსამსახურეთა შეღავათიან სადილოზე, აღარ გააგრძელა მისთვის ასეთი სამსახურის გაწევა. ეს იუკადრისა ინჯიკიანმა და სანატორიუმში ფოსტის წაღებაზეც ხელი აიღო.

ასეთი მოქმედებით ინჯიკიანმა პირადი ინტერესები საზოგადოებრივზე მაღლა დააყენა, რაც სრულიად შეუფერებელია საბჭოთა მოქალაქისათვის, მით უმეტეს, პარტიის წევრისათვის.

22 თებერვალს მან უდისციპლინობის კიდევ ერთი მაგალითი გვიჩვენა: სამუშაოზე ერთი საათით გვიან გამოცხადდა. ნაცვლად იმისა, რომ შენიშვნა მიეღო, უტიფრად და უსაფუძვლოდ დაიწყო თავის მართლება.

ინჯიკიანი გასაკიცხია.

**ბოლქვაძე,**
კავშირგაბმულობის აბასთუმნის განყოფილების უფროსი.

## ეს საქმე უნდა მოგვარდეს

ცხადია, რომ ინფექციური დაავადება—ცოფი ადამიანს დიდ საშიშროებას უქმნის. ისიც ნათელია, რომ აღნიშნული დაავადების მთავარი გამავრცელებელი ძაღლია. ამის შესახებ ექიმის ვრცელი საუბარი იყო მოთავსებული რაიონულ გაზეთში. იქ მითითებული იყო რაიცენტრში მოხეტიალე ძაღლების მოსპობის აუცილებლობაზე. ამ საქმეს რატომღაც აბასთუმანში ყურადღებას არავინ აქცევს.

კურორტსამმართველომ აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს.

**უ. ივანიშვილი.**

## საზეიმო კრება

8 მარტს პარტიის ადიგენის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრნენ რაიონული ცენტრის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და მშრომელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ადიგენის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. დ. გოგატიშვილმა.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.
სურათზე: ყრილობის პრეზიდიუმის წევრები დელეგატთა შორის შესვენების დროს.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

**რედაქტორი შ. გურული.**

ოლია და ვასო ბერიშვილების ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება **გრიგოლ მიხეილის-ძე ბერიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 მარტს, სამშაბათს, სოფელ ღორთუბანში.

ქ. რეხვიაშვილი, მ. მერაბიშვილი, გ. ფარცახაშვილი, ი. ბოჩიკაშვილი, ნ. ნოვრუზოვი, ა. მაჩაიძე, ი. ზაზაშვილი, გ. გიორგაძე, ა. არჩვაძე, შ. ერაძე, შ. რეხვიაშვილი, დ. მეტრეველი, შ. გურული, ა. რეხვიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვასო

ადიგენი
გაზეთ „ადიგენის კოლმეურნის" სტამბა